ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №64

11 მარტი 2013 წ.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად, თვითმმართველი ორგანოს მიერ 2013 წელში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარების მიზნით

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ირაკლი ახობაძე - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ვლადიმერ გოგიბერიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - წევრი;
- ტარიელ ბერაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში - წევრი;
- გია გიორგაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;
- ნინო სიხარულიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში - წევრი;
- გიორგი სიმონია - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონების საკითხებში - წევრი;

- მალხაზ წიქორია - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში - წევრი.

2. დაევალოს ინსპექირების ჯგუფს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ 2013 წელში განხორციელებული შესყიდვების (სოფლის მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურის პროგრამებით შესყიდული მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება N28 ,,მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი *მიხეილ უნგიაძე*

ვიზირებულია,
იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*